ფ. ვაგნერისა.

როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი (ვაჟი და ქალი) რომ შეინახოს ბევრი წელი და ბედნიერებას

თარგმანი ფრანგულიდან

ნ. ი. ჟ—ისა.

ქუთაისი

ფერაძისა და ქარნაუხოვის სტამბა

1908

შ. ვაგნერისა.

34784

როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი

([illegible] და [illegible])

რომ შეიძინოს [illegible] გული და ბედნიერება

თარგმანი ფრანგულიდან

ნ. ი. ჟ—ისა.

საქ. მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Грише...
Академия наук

ქუთაისი

ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბა

1908

I

ყოველი ადამიანი წარმოადგენს განხორციელებულ მოთხოვნილებებს ე. ი. ყოველ ადამიანის სხეულში არსებობს ჯგუფი მოთხოვნილებების, რომლებიც უნებურათ აიძულებენ ადამიანს, რომ მან იშრომოს და იბრძოლოს მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. საუკეთესო საშვალება, რომლითაც ადამიანს შეუძლია დაიკმაყოფილოს თავის მოთხოვნილებები, არის ფული. ფულია ის უმთავრესი სარძიკველი, რომელზედაც არის დღევანდელი მრისხანე ცხოვრება აგებული. ადამიანთა შრომაც მიმართულია იმისაკენ, რომ ეს ცხოვრების უმთავრესი სარძიკველი—ფული—შეიძინონ. მთელი კაცობრიობა ქონებრივათ განიყოფება სამ დიდ კატეგორიათ:

1) არაფრის მქონე.

2) ცოტას მქონე, ცოტათი შეძლებული.

3) ბევრის მქონე, დიდათ შეძლებული.

სამივე კატეგორიის წარმომადგენელნი, ერთი მეორეში არეულ ჩარეული, გამოსრული არიან დღევანდელ ცხოვრებაში თავიანთ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ, მაგრამ ცხოვრებაში ის (ზემოაღნიშნულ კატეგორიის) წარმომადგენილი იმარჯვებს, რომელიც უფრო ენერგიულათ, გონივრულათ და მეტის შრომით მოქმედობს. ამას ჩვენ პრაქტიკულათ ვხედავთ ცხოვრებაში; ბევრია ისეთი პირები, რომლებიც დიდათ შეძლებულები იყვნენ, მაგრამ მათ (ან მათმა შვილებმა) თავისივე ცხოვრებაში დაფლანგეს და დაღუპეს რაც კი გააჩნდათ ბევრია ისეთი პირებიც, რომლებიც ცოტას მქონენი იყვნენ, მაგრამ საქმის კარგათ წაყვანით ბევრის მქონენი

შეიქმნენ; ბევრია ისეთი პირებიც, რომლებსაც არაფერი გააჩნდათ, მაგრამ თავიანთ შრომით და მეცადინეობით ან მათ და ან მათმა შვილებმა დიდი ქონება შეიძინეს. ამ გვარათ ჩვენ ხშირათ ვხედავთ ცხოვრებაში, რომ თუმცაღა ბევრი შეძლებულია და კიდევ მეტათ შეუძლიანთ წინ წაწევა, გამარჯვებულათ გამოსვლა ბრძოლიდან (რადგანაც ქონებრივათ უფრო შეიარაღებულია, ბრძოლისათვის), მაგრამ საუბედუროთ დაწინაურობის მაგივრათ უკან უკან მიდის, და არაფრის მქონე კი წინ-წინ მიდის და შეძლებული ხდება. მაშ რაში მდგომარეობს ის დედა ძარღვი რომელზედაც . დამყარებულია ქონების— ფულის — შეძენა, გამდიდრება?? სანამდის ამ კითხვაზე უპასუხებდეთ, მანამდის გავითვალწუნოთ თუ რაში მდგომარეობს სიმდიდრე! ჩვენ ზევით ვსთქვით რომ ადამიანის სხეული წარმოადგენს ჯგუფს, კრებას მოთხოვნილებებისას: რომლებიც ადამიანს უნებურათ ჯიკაობენ ბრძოლისაკენ. ამიტომაც ადამანი ებრძვის ბუნებას, სხვა ადამიანს და აგრეთვე თავისი თავსაც, თავისივე ბუნებასაც, ადამიანი შრომით აკმაყოფილებს მის შემაწუხებელ მოთხოვნილებებს, მაგრამ ყველა ადამიანები ერთნაირათ ვერ იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. არაფრის მქონე თითქმის თავის მოთხოვნილებების მეოცე ნაწილს კი ვერ იკმაყოფილებს; ცოტათი შეძლებული კი მეოთხედ ნაწილს თავის მოთხოვნილებებისას გაჭირვებით იკმაყოფილებს; დიდათ შეძლებული კი ყოველ მხრივათ იკმაყოფილებს ყველა მის მოთხოვნილებებს. მაშასადამე სიმდიდრე არის ისეთი საშვალება, რომლითაც ადამიანი სავსებით იკმაყოფილებს ყველა მის მოთხოვნილებებს. განა გასაკიცხავია ის ადამიანი რომელიც ასეთ ადამიანურ ცხოვრების მოპოებას

გამოეკიდება და ენერგიულათ შეუდგება?? ადამიანის სიმდიდრე არავისაგან არ არის გასაკიცხავი (მე აქ სახეში არ მყავს ისეთი პირები, რომლებიც შეძლებულნი არიან ცუდი გზით, ცუდი მოქმედებით, ყაჩაღობით, გარყვნილობით, მოტაცებით, რადგანაც ასეთი პირები გასაკიცხავიც არიან და საზოგადოებიდანაც სამუდამოთ გასადევნი), რადგანაც ადამიანის მიზანია ყველა მოთხოვნილებების სავსებით დაკმაყოფილებაში, და ადამიანური ცხოვრება ყველასათვის სასურველია; მხოლოთ ასეთ შეძლებულ ადამიანს შეუძლიან სხვა ღატაკ ადამიანს ხელი გაუწიოს და მისი ცხოვრება ფეხზედ დააყენოს, თორემ ისეთი კაცი, რომელიც წყალს მიაქვს ვერასოდეს ვერ უშველის მეორე წყალ წაღებულს, რადგანაც ორივე წყალს მიაქვს და ორივე უსაფუძვლოთ, უღონოთ რჩებიან.

II

ა ლა ჩვენ გავითვალწინოთ ის დედა ძარღვი, რომლითაც შეიძლება ფულის, სიმდიდრის შეძენა

ის პირი, რომელიც შეუდგება ფულის შეძენას უნდა იმოქმედოს შემდეგ გვარათ: მან უნდა დაანებოს თავი ზედმეტ ქეიფს-ლოთობას, ფულის უაზროთ ფლანგვას, გარყვნილებას, უზნეობას; მან უნდა უარ ყოს ტყუილა ჯდომა, უმიზნო ლაზღანდარობა; მან უნდა შეიყვაროს შრომა ენერგიული; მან კრიტიკის ქვეშ უნდა გაატაროს როგორც თავის თავის მოქმედება, საქციელი და ხასიათი; აგრეთვე სხვისი მოქმედება, სხვისი მსჯელობა და ხასიათი, მან უნდა შეიყვაროს დინჯი, გონივრული მოქმედება; მან არასოდეს არ უნდა ჩასთვალოს თავის მდგომარეობა უკანასკნელ ბედნიერებათ, რადგანაც ეს უკან ჩამორჩენას

ნიშნავს და ცრუ იმედებით თავის თავის მოტყუებას. დღევანდელი ცხოვრების პრინციპი არის — შრომა მეტის მეტი და ბით მოპოებილი მეტის მეტი ფული, ყოველ გვარი შრომის (თუ გინდა ნაგვის ზიდვა იყოს) პატიოსნებათ აღიარება და სიზარმაცის და აქედან მომდინარე სილატაკის და უფულობის გაკიცხვა, დაგმობა და სასირცხოთ მიმჩნევა. აი ეს არის დღევანდელი ცხოვრების პრინციპი და ამ პრინციპის საფუძვლით სჯიან დღეს ადამიანთა საქციელს და მდგომარეობას. დღეს სასირცხო ის არის რომ ადამიანს (ქალსა და კაცსა) ფული არ აქვს, ზარმაცია და შრომა ეზარება და არა ის რომ ადამიანი შრომობს (რაშიდაც უნდა გამოიხატებოდეს შრომა) და შრომით ფული აქვს.

რა უნდა იყოს შრომის შინაარსი ე. ი. როგორ საქმეზედ შრომას შეუძლიან ნაყოფის გამოღება? საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის ყოველ გვარ გონივრულათ წაყვანილ საქმიდან შეიძლება თან და თან წინ სვლა და ფულის შეძენა, გარდა საზოგადოთ ყოველ სამსახურისა, რადგანაც მოსამსახურე პირები (დაწესებულებებში) სხვის კაპრიზის ხელ ქვეშ იმყოფებიან და თან სამუდამოთ განსაზღვრული ჯამაგარი ანუ სარჩო აქვს მიცემული: ამ გვარი პირების ეკონომიურათ წინ სვლა შეუძლებელია და ამისათვის ვერავის ვერ ვურჩევთ. ყოველთვის იმ საქმეს უნდა მოჰკიდოთ ხელი, რომელიც უფრო ახლოა თქვენზედ და რომელიც უფრო კარგათ გესმისთ. უნდა ცდილობდეთ რომ, თავისუფალ, მოხთენილ დროზე გაიცნოთ, შეხვდეთ ისეთ პირებს, რომლებიც რაიმე საქმეს აწარმოებენ და ფულს გებულობენ. ასეთ პირებს გამოჰკითხავთ ვრცლათ საქმის ვითარებას,

კარგათ გაიცნობთ საქმეს და შემდეგ თვითონ ასწონ-დასწონით. ამგვარათ ხშირი გაკითხვ-გამოკითხვით, ნაცნობობით და მონდომებით თქვენ გაეცნობით მრავალ საქმეს, მრავალ გვარ წარმოებას, გეცოდინებათ მისი დედა ძარღვი და დაკვირვებით აირჩევთ რომელიმე მათგანს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში იქონიეთ სახეში, რომ არავითარი საქმის აღება, დაწყება (როგორიც უნდა იყოს იგი) არ შეგრცხვესთ, არ იუკადრისოთ ვინც უნდა იყოთ თქვენ და არ იფიქროთ რომ ,,ეს საქმე წმინდა საქმეა და ის კი ბინძური''-ო, რადგანაც წმინდა საქმე ის საქმეა რომელიც მეტ მოგებას იძლევა. ყოველ გვარი წარმოება, მომგებიანი საქმე (ასეთი მომგებიანი საქმე თითქმის ურიცხვია), ეკუთვნის ერთს დიდს კატეგორიას, რომელსაც საზოგადოთ ეწოდება „ვაჭრობა". თუ კი შეატყობთ რომ თვითონ თქვენ ვერ შეიძლებთ საქმის წაყვანას ისე როგორც უნდა, ამ შემთხვევაში უნდა მიმართოთ ამხანაგობას. ამხმნაგობას უფრო უკეთ შეუძლიან საქმის წაყვანა ვიდრე ერთ პირს, მაგრამ ზოგიერთ ამხანაგობასაც უამხანაგობა სჯობიან, რადგანაც ერთ უმეცარს მრავალი უმეცრები ემატება და საქმეს უარესათ ბურდავენ. მხოლოთ ისეთი ამხანაგობაა სასურველი, რომელსაც უმეტესად შეადგენენ იმ საქმის ნამდვილი და ჭეშმარიტი მცოდნენი, როგორი საქმისათვისაც ამ ამხანაგობას ხელი უკიდია.

მაგრამ ახლა კითხვა იმაშია თუ როგორ შეუძლიან რაიმე საქმის დაწყება ისეთ პირს რომელსაც არაფერი არ გააჩნია, თანხა არ აქვს საქმისათვის. ასეთმა პირმა ჯერ პატარა პატარაობით უნდა მოუყაროს პატარა თანხას თავი. აქ პატარა გაჭირვებასაც გაივლით, მაგრამ თუ ტანმრთელობისათვის სახიფათო არ არის, უნდა მოითმინოთ ცოტა ხნით. შემდეგ ამ პატარა თანხის შეგროვებისა უნდა წამოიწყოთ ძალიან წვრილი საქმე. შემდეგ თქვენ თანხას კიდევ მოემატება და დაიწყებთ უფრო მსხვილ

საქმეს, შემდეგ ამისა კიდევ უფრო გაამხვილებთ თქვენს საქმეს და ამ გვარათ თუ დაკვირვებით, გონივრულათ, ეკონომიურათ და ენერგიულათ მიჰყვებით საქმეს, მაშინ შეუძლებელია რომ ზემოაღნიშნულ პირობებში საქმემ ნამყოფი არ გამოიტანოს. შეიძლება იქმნეს ისეთი შემთხვევაც რომ საქმეც წააგოთ; მიზეზები საქმის წაგებისა უსათუოთ ზემოაღნიშნულ პირობების დარღვევაშია. მაგრამ ამით არ უნდა შეშინდეთ, ნაკლი უნდა გააუწოროთ და ისევ წამოიწყოთ საქმე და წაგებულ საქმეზე არავითარი ფიქრი და ჯავრი არ უნდა დაიწყოთ. ამ გვარათ ჩვენ გამოგვყავს შემდეგი დასკვნა: მოინდომე ენერგიულათ საქმის გაკეთება, დაწინაურება, დაანებე სიზარმაცეს და პრაჭვა-გრეხას თავი; იქონიე კავშირი, ნაცნობობა ისეთ პირებთან რომლებიც რაიმე საქმეს აწარმოებენ, იქონიე მათთან ხშირი მუსაიფი ამა თუ იმ საქმის ვითარებაზე (საქმის პრაკტიკულად ცოდნა არის საუკეთესო ცოდნა); დაანებე თავი ფულის ფლანგვას, ქეიფს, იცხოვრე ზომიერათ და დანარჩენი ფული შეინახე: გიყვარდეს დაკვირვებული, ენერგიული (მუდამ) შრომა; ნუ იუკადრისებ ნურავითარ შრომას, რადგანაც ცხოვრებას ყოველ გვარი შრომა სჭირდება და დღეს არავითარი შრომა არ ითვლება საძრახისათ; მოითმინეთ საქმის დაწყების დროს და ფულს მოუყარეთ თავი, რადგანაც დღევანდელი მაძღრობა ვერ იხსნის ადამიანს მომავალ შიმშილისაგან—ყველა ის რაც ზევით ვსთქვით შეადგენენ იმ დედა ძარღვს ცხოვრებისას, რომელზედაც არის შემდეგ დამყარებული დიდი ფულის შოვნა ანუ სიმდიდრე, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ გექნებათ მუდმივი სიღარიბე. უეცრათ არაფერი არ ხდება ცხოვრებაში და მით უფრო ფულის შეძენას სჭირდება დრო, მოთმინება, ენერგიული შრომა და გონივრული წინ წაძღოლა.

33
3 124

ფასი ერთი აბაზი.